# სახალხო გაზეთი

№ 1126 ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1914 წ. № 1126

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოღდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


26 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა

კნ. ოლღა ედუარდის ასული ავალიშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები—თავადები: ივანე, იოსებ, ზურაბი და გიგი დავითის ძენი ავალიშვილები, ქალები—კნეინები ნინო დიმიტრის ასული, მარი და ანასტასია ავალიშვილებისა. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 136

ილია გიორგის ძე და კონსტანტინე და ელენე ილიას ძე და ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, ხოლო მეორეთა—ძვირფასი დედა

ოლღა ერმოლოზის ასული სუხიაშვილისა.

პანაშვიდები დანიშნულია საღამოს შვიდ საათზე, დაკრძალვა მოხდება პირველ მარტს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 საათზე, ალაჯინის ქუჩა, № 6. 137

ტელეფონი № 795. ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 1914 წ. ქართული დრამ. საზოგ. დასის მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა

## „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"

პიესა 4 მოქმ. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, პეტრეტი, ქიქოძე, შოთაძე, ოოძე, ჩხეიძე, ჯავახიშვილი, ქორელაშვილი; ბ-ნნი არადელი-იმედაშვილი, ბერძენი, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, ფრანგიშვილი, სარაჯული, ცაციშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი მ. ქორელი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად ყაჩაღები, ნორა და სხვა.

1078 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

1914 წ. 2 მარტიდან გამოვა

განახლებული ყოველ-კვირეული, სახსატვრო-სალიტერატურო-სათეატრო და საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება"

იუმორისტულ განყოფილებით და კარიკატურებით.

ჟურნალში დაიბეჭდება: წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ; კრიტიკული განხილვანი, რეცენზიები, დახასიათებანი; ისტორიულ, ბიბლიოგრაფიულ და ბიოგრაფიული ნარკვევ-ცნობანი; მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი; სამუსიკო ნაწარმოებნი; სახელმძღვანელო მიმოხილვა, გრიმის თუ პლასტიკის; სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხვ.

ყოველს ნომერში მოთავსებული იქნება სარეპერტ. ტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ● ფასი: წლიურად 5 მ (ამ წლის დამლევამდე 4 მ.), ნახევარი წლით 3 მ, თითო N-რი 10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება—3 რვალად 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზ. კანტორაში ქარ. თეატრში; და იოსებ იმედაშვილთან, „სორაპანის" სტამბაში, დილით 10—2 ს., საღ. 5—8 ს. წერილები და ფული იოსებ იმედაშვილის სახელზე გამოიგზავნოს. ფოსტის მისამართი:

Тиф., ред. „Театри да цховреба", Iосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდ განცხადებანი მიიღება იქვე.

1083 ტელეფ. № 15-41. რედაქტ.-გამომ. ანნა იმედაშვილისა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქ...ის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვიტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. შ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. შ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფილოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარჯანიშვილი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერაბიშვილი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთ. სნეულ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფილოროვი ვ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი ვ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათაბეგიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1070

## საგანგებო რეკლამის გულისათვის

სარატოვის სარფინკების მექარხნეთა

## სავაჭრო სახლის „ე. ე. მაიერ"-ის მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზ"-ის ქვეშ, ტელეფ. № 13—15.

ამ წლის 21 თებერვლიდან 1 მარტამდე დანიშნულია გაყიდვა მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა

## საარაკო იაფ ფასებში

ნამდვილ ღირებულებაზე 20 და 40 პროცენტის დაკლებით.

საჭიროა ყველამ შემოიაროს მაღაზიაში და თვითონ დარწმუნდეს ნამდვილ იაფობაში.

1066 პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერი".

ცენტრალური საწყობი

## პაპიბზე არსებული ამხანაგობა „ს. მ. პირაპოზოვი და ბ. ბ. ოგანოვი"

შუა ბაზარი, მანთაშევის ქარვასლის ეზოში, № 39—40).

ტელეფონი 8-68

აუწყებს მყიდველებს, რომ ამ ტფილისის საწყობში ამ გაზაფხულისა და მომავალ ზაფხულის სეზონებისათვის

## მიღებული გვაქვს

უვარებელი რჩეული მოდური სამანუფაქტურო საქონელი, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთის ცნობილ

## ფირმებისა

## საქონელს ვყიდით წვრილად

## მსყიდველებზედაც

საწყობში გვეშოვება საქონელი:

მაუდეულისა, შალეულის ✕ ტილოსი, ბამბისა

აბრეშუმეულისა, ტულისა. ✕ ხალიჩები და სხვანი. 1085

ახლად გაიხსნა

სასტუმრო სასადილო

## „სინათლე"

საუცხოვო ახალ-ახალი საჭმელები. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სიცილია" და „არარატი"

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები".

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. ბ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**მინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ.. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1604

## სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუსლავსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

**ზამბახი,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ასპიზოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოხელსონი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოსოვი**—კბილ. იღებს ყ.-დღე დილით 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

## საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ს. ხალხო. წარმოდგ. ხარფუხის სახალხო აუდიტორია წარ. № 4.

(კლუბის შენობაში)

დღეს, 27 თებერ., ხარფუხ. ქართ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ წარ. იქნება:

მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი, დრამა 2 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი კავთელი და მეხუზლასი. ბ-ნნი: გომელაური, მირველოვი, გორდაძე, ჯანველოვი, ფირუმოვი, შათირიშვილი, მგალობლიშვილი, კორძული და სხვები. ✦ ადგილ. ფასი სახალხოა 5—50 კ. უმუშევართ ათი ბილეთი უფასოდ დაეთმობათ. დასაწყ. საღ. 8 ს.

135 მორიგი გამგ. წევრი უ. მეხუზლა. რეჟ. ს. პეპანოვი.




მიიღება ხელის მოწერა

## ბესარ ახოსპირელის

სრულ ლექსთა კრებულის და პოემების

დასაკვეთად (200 გვერ.). წიგნს წამძღვარებული ექნება სტუდ. ვახტ. კოტეტიშვილის კრიტიკული წერილი: „ბეგლარა ახოსპირელი ღ მისი სიმღერა".

დასაკვეთი ფასი—40 კ. წიგნი გამოვა მაისის პირველ რიცხვებში. ხელის მოწერა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—პოეტ ვარლ. რუხაძესთან; ბაქოში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ბაქოს განყოფილებაში.

1079 პატივისცემით ამხ. „სინათლე".

## არტისტიულ საზოგადოების დარბაზი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 1914 წ. ცნობილი ჟურნალისტი

## ს. ვ. იაბლონოვსკი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## „დაუბადებელთა უფლება“

(მუცლის მოწყვეტის შესახებ)

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი 8½ საათზე. 134.

ბილეთები იყიდება არტისტიულ საზოგადოების კლუბში შესასვლელთან.

## ვაგზლის სამკურნალოში

(მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

**გაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

**რჩევის საფასური—50 კაპ.**

**წამლობა „914“.** 1023



ქუთაისში

## კ. ოცხელისა და ამხ.

## წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა

სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული

## „ცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთად. 1064



## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა

| | | | |
|---|---|---|---|
| განდეგილი. ლექსები ტფ. 1898 წ. | 50 კ. | — ოთია მესხი და ბებურიშვილი | 10 „ |
| — ლექსები და მოთხრობები | 50 „ | — ნათელა 1911 წ. | 20 „ |
| გლახაშვილი. თანამედროვე პიესები 1908 წ. | 30 „ | — ქართველ. განმ. ნინო | 10 „ |
| — დალი, დრ. 3 მოქმ. 1912 წ. | 20 „ | — თამარ მეფე | 5 „ |
| გულისაშვილი ი. ორი პიესა 1895 წ. | 50 „ | — ოცნება 1913 წ. | 10 „ |
| წერეთელი აკაკი. თხზულებანი ტ. 1-ლი 1893 წ. | 1 მ.— „ | — ვაჟრული ქუა 1903 წ. | 5 „ |
| — ტ. 2-ე — „ | 1 მ.— „ | — ბაგრატ დიდი 1911 წ. | 10 „ |
| — ჩემი ნაწერები ტ. 1-ლი 1912 წ. | 75 „ | — ყვითელი სანთელი 1896 წ. | 10 „ |
| — „ „ ტ. 2-ე 1913 წ. | 75 „ | — რჩეული ლექსები 1908 „ | 10 „ |
| — იგავ-არაკნი | 50 „ | წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები ტფ. 1898 წ. | 30 „ |
| — თორნიკე ერისთავი 1906 წ. | 35 „ | — თხზულებანი ტ. 2-ე 1893 | 60 „ |
| — ჩემი თავგადასავალი 1903 | 1 მან. | ქყონია ილია. ნაწერები ტფ. 1913 წ. | 1 მან.— „ |
| — კიკოლას ნაამბობი „ | 20 კ. | ქორჩაქიძე გ. თხზულებანი ქ. 1913 წ. | 75 „ |
| — ბაში აჩუკი „ | 30 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები 1881 წ. | 30 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.



ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468



ექიმთა საზოგადოების

## სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

**ტელეფ. № 1026.**

**ავადმყოფების მიღება:**

**აბაჯანოვი მიხეილ** — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

**ელჩიევი მ. რ.**—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

**ელჩიევი ლ. რ.**—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

**კიმონტი მ. პ.**—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

**მაზაკიანი მ. ნ.**—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილი აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

**შეზხაპუნება „914“, „606“.** 1040



ქ. ბ ო რ შ ი

(დ ო კ ტ ო რ ა ნ ტ ი).

**ექიმი ბ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. ბორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571



## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608



**ექიმი ი. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu**. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102



## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ხერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.



ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შედგენილი წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება ხხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ**. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516



**ექიმი გ. ნ. მაზაკიანი**

**გადავიდა** ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053



**ექიმი** ქალბატონი **ნინო რცხილაძე.**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.



**ექიმი მ. მუსხელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.



**ექიმი პავლე არდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022


## ქართული პრესა

„სიმართლის ხმა“ ღეჭავს და ღეჭავს დაზეპირებულ ფრაზებს. მაგრამ ხანდისხან ამ ღეჭვის დროს თავს იჩენს ხოლმე ისეთი მეცნიერული მარგალიტები, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ. ასეთი აღმოჩენანი შეუძლებელია შთამომავლობისთვის დაიკარგოს. „სიმართლის ხმა“, გაიმასხარავა რა ტერიტორიის ხელიდან გამოცლის გამო, შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რა არის ტერიტორია. აღმოჩნდა შემდეგში:

„ტერიტორია ის ადგილია, რომელზედაც სახელმწიფოს უზენაესი ძალა-უფლება ვრცელდება. არსებობს რუსეთის ტერიტორია, სადაც ძალაშია რუსული კანონი; არსებობს საფრანგეთის ტერიტორია, სადაც მართვა-გამგეობა საფრანგეთის კანონების თანახმად სწარმოებს; არსებობს ფინლანდიის ტერიტორია, რომელიც ფინლანდიის კანონმდებლობას ემორჩილება. მაგრამ არ არსებობს პოლონეთის ტერიტორია, ვინაიდან კაი ხანია მოისპო პოლონეთის „რეჩ პოსპოლიტა“.

ამ აღმოჩენის შემდეგ, რომელიც სიამოვნებით ჟრუანტელს მოჰგვრიდა მხოლოდ მარკოვის და პურიშკევიჩის ტიპიურ სახელმწიფო მოღვაწეს, ჩვენ შეგვიძლიან მორჩილებით ქედი მოვიხაროთ და აღვიაროთ უდიდესი სიბრძნე და პოლიტიკური გამჭრიახობა „სიმართლის ხმის“ დახავსებული პოლიტიკოსებისა. ამ აღმოჩენას მოჰყვა მეორე, უფრო საყურადღებო აღმოჩენა:

„ნაციონალისტები ან დონკიხოტებია, რომელთაც ჰგონიათ, რომ საქართველო უკვე დაიპყრეს... და ამიტომ სრული ნება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე იბაასონ და ის გარეშე და შინაურ მტერთაგან დაიცვან ან და მათი ტერიტორია სულ სხვა ცნებაა და მეცნიერულ მნიშვნელობასთან საერთო არაფერი არა აქვს“.

ვაი ქართველი ხალხის ბრალიცა, ამით თანა ქომაგების ხელში!

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენს ცხოვრებაში ბევრს ახირებულს მოვლენას შეხვდება ადამიანი. ახირებული არაა ის, რომ ჩვენში არის გაზეთი თუ ჟურნალი ან „მიმართულება“, რომელსაც არავითარი მიმართულება არა აქვს? რომ გაზეთის მეთაურებს და „მიმართულების“ მესვეურებს თვითონ არა აქვთ შეგნებული და გათვალისწინებული, თუ რას ემსახურებიან, როგორი იდეალის განხორციელება სწადიათ ცხოვრებაში?

როცა შეეკითხებით ასეთს ადამიანებს, გვითხარით, გაგვაგებინეთ თქვენი „მრწამსი“, გიპასუხებენ საზოგადო შაბლონურის სიტყვებით: ჩვენ საქართველოს ვიცავთ, საზოგადოებას ვემსახურებით. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, სოლეიმანხანის ერთგული მონა ოთარბეგიც კი ამბობდა, საქართველოს ვიცავო, და საზოგადოების სამსახური ყოველს მძარცველს აკერია პირზე.

ვის ემსახურება, მაგალითად, გაზეთი „ზაკ. რეჩი“? ქართველების გარუსებას და გადაგვარებას თუ აღორძინებას? ქართველ ბურჟუაზიას თუ თავ.-აზნაურობას? საქართველოს მომავალისთვის ამზადებს ნიადაგს, თუ მის მტრებს უმზადებს ზურგს? ჩვენ გარკვეულს პასუხს გავცემდით ყველა დასახელებულ კითხვას, მაგრამ თვითონ „ზაკ. რეჩი“-სთვის ყველაფერი ეს ბურუსით არის მოცული და გარკვევით არ იცის, რომელს კითხვას როგორ უპასუხოს. აი დაუგდეთ ყური დღევანდელ გაზეთის ნომერში სკალპელის წერილს:

„თავად-აზნაურობის იდეოლოგები, ბურჟუაზიის იდეოლოგები, სწერს ავტორი, აი ის უაზრო სიტყვები, რომლებიც გვესმის ჩვენი მოწინააღმდეგეებისაგან. ამ სიტყვებმა ღიმილი უნდა გამოიწვიოს მკითხველში, რომელიც კარგად იცნობს ჩვენს შეხედულობას და პოზიციას ქართულ ეროვნულს საკითხში... როდესაც ვლაპარაკობ ბურჟუაზიის შესახებ, სახეში მაქვს ერების დღევანდელი მდგომარეობა და მათ შორის ქართველებისაც. ვლაპარაკობ ბურჟუაზიის შესახებ, მაგრამ სრულებით არა მსურს „მაღალის“ იდეალებით შევამკო ბურჟუაზია... ვლაპარაკობ იმდენად, რამდენად არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ბურჟუაზიას“...

ერთი ჰკითხეთ ამის დამწერს: მართლა ვისი დამცველია—ბურჟუაზიის თუ თავ.-აზნაურობის? ჩვენ გვგონია, რომ თავ.-აზნაურობის. აბა, ბურჟუაზიის იდეოლოგი ისე დარცხვენილად ილაპარაკებდა ბურჟუაზიის შესახებ, როგორც ლაპარაკობს ბ. სკალპელი? არა, ბატონო სკალპელო, ბურჟუაზიის ხსენება დასარცხვენი არაა და ტყუილად ამცირებთ ბურჟუაზიის მაღალს როლს. ჩვენ ბურჟუაზიის იდეოლოგები არა ვართ, მაგრამ გაბედულად მოგახსენებთ, რომ ბურჟუაზია დიდი კულტურული მოვლენაა ერის ცხოვრებაში, ბურჟუაზია შემოქმედი ძალაა, რომ მისი განვითარება დიდად სასურველია საქართველოსთვის და ცილისწამებაა თქვენი და თქვენისთანების მხრივ, როცა ლაპარაკობთ, რომ ჩვენ ვითომც ვებრძოდეთ ბურჟუაზიის ზრდას და ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებას ჩვენში. არა, ჩვენ ამას კი არ ვებრძვით, ვებრძვით იმ სოციალურს ბოროტებას, რომელიც თან სდევს ბურჟუაზიულს წარმოებას, და რომლის მძიმე ტვირთი გვინდა შევუმსუბუქოთ მშრომელს ხალხს, ჩვენ ვამზადებთ ნიადაგს სხვა საზოგადოებრივ წესწყობილებისათვის.

ჩვენ არ გვრცხვენიან აღვიაროთ, რომ ბურჟუაზია კულტურულს როლს თამაშობს, რომ იგი აუცილებელი საფეხურია უმაღლეს საზოგადოებაში გარდასასვლელად. ბ. სკალპელს და „ზაკ. რეჩს“ კი რცხვენიათ გადაჭრით ამის თქმა. მაგრამ ამასთანავე არ რცხვენიათ მაღალი ეროვნული მისია მიაწერონ სომხის ბურჟუაზიას და მოუწოდონ ქართველ ინტელიგენციას ხელი შეუწყოს ქართველი ვაჭრებისა და მრეწველების მოღვაწეობას.

ბატონებო, გარკვევით სთქვით: ვინა ხართ? თავად-აზნაურობის თუ ბურჟუაზიის იდეოლოგები? ერთის თუ მეორესი? თუ არცერთის, არაფრობის?

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

**25 თებერვლის სხდომა.**

**რობიჩკო თავჯდომარეობს.**

მუხლობრივ იხილავენ სენატის დეპარტამენტში საქმეების წარმოებისა და გარჩევის წესრიგის ცვლილებათა კანონ-პროექტს. მეშვიდე მუხლი ამბობს. სენატორების დათხოვნა არ შეიძლება, თუ თვითონვე არ ითხოვეს, არც მათი დაუკითხავად გადაყვანა ერთი დეპარტამენტიდან მეორეში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი ხანგრძლივ ავადმყოფობენ ან მათის წინააღმდეგ დისციპლინური საქმეა აღძრული. კამათში მონაწილეობას იღებენ **აჯემოვი, ჩერნოსვიტოვი, გრაფი ბენიგსენი, ანტონოვი.** ეს მუხლი მიიღეს პროგრესისტთა დამატებით რომ სენატორები სიკვდილამდე არ იცვლებოდნენ. სათათბირომ მიიღო მუხლის მესამე შენიშვნა, რომლითაც სენატორის დათხოვნა დისციპლინური წესრიგით შეუძლებელია.

იხილავენ მეთექვსმეტე მუხლს, რომელიც ეხება ობერ-პროკურორის უფლების განმარტავს.

**გრომძიცკი.** იცავს პროგრესისტთა შესწორებას, რომლის ძალითაც სენატის კანცელარიას ობერ-პროკურორი აღარ ზედამხედველობს. ეს მუხლი მიიღეს სასამართლოს კომისიის რედაქციით. მუხლი შეერთებულ სხდომებზედ საქმის გადატანის შესახებ მიიღეს 145 ხმით წინააღმდეგ 64-სა ოქტომბრისტების შესწორებით, რომელიც უარჰყოფს მინისტრის სურვილის საქმის გადატანის შესახებ და შესაძლებლად სცნობს ეს საქმე თვითონ დეპარტამენტებმა ითაონ. ოცდამეთექვსმეტე მუხლი, რომლითაც გენერალ-გუბერნატორებს ნება ეძლევათ დაესწრონ სენატში, მათდამი რწმუნებულ გუბერნიების საქმეების გარჩევის დროს, უარყოფილია ოქტომბრისტების წინადადებით.

კანონპროექტის განხილვა შესწყდა. განსახილველია საჩქარო შეკითხვა კადეტებისა განათლების მინისტრისადმი, 12 თებერვალს გამოცემულ ცირკულიარის გამო, რომელიც პირველდაწყებით სკოლებში მასწავლებელთა თანამდებობების მიღებას ეხება. შემკითხველნი აღნიშნავენ, მინისტრმა, არსებულ კანონისა და სენატის განმარტებათა წინააღმდეგ, გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც მასწავლებელთა განწესების უფლება სასწავლებელთა ინსპექტორებს ენიჭებათ.

**შინგარევი** იცავს შეკითხვის სისწრაფეს. აქ საქმე საერობო და საქალაქო დაწესებულებათა უფლების შეზღუდვაა.

**პურიშკევიჩი** წინააღმდეგ აზრისაა. იგი ამბობს, თავისი ცირკულიარით კასომ პირველი ნაბიჯი გადადგა დაბალ სასწავლებელთა საღს ნიადაგზე დაყენების საქმეში. მემარჯვენენი იმედოვნებენ, რომ მინისტრი აქაც იმავე საღს ნიადაგზე დააყენებს სახალხო სკოლას, როგორც ეს უმაღლეს სასწავლებლებში. **კოვალევსკი** მხარს უჭერს შეკითხვის სიჩქარეს და აცხადებს, ოქტომბრისტებს უკანონო და სრულიად დროის შეუფერებლად მიაჩნიათ ეს ცირკულიარი.

შეკითხვის სიჩქარე მიღებულია 156 ხმით ოპოზიციის და ცენტრისა 71 ხმის წინააღმდეგ.

სათათბირო შეკითხვის არსებით განხილვას შეუდგა.

**შინგარევი.** პურიშკევიჩმა ცირკულიარის გამოცემა რევოლიუციასთან ბრძოლის აუცილებლობით დაასაბუთა. მაგრამ სწორედ ეს ზომები, არღვევენ კანონს, პატივისცემას უკარგავენ მას და რევოლიუციას ამზადებენ:

**კლიუჟევი.** ყველაფერი კარგი, რაც კი სახალხო განათლების დარგში არსებობს ადგილობრივი თვითმართველობის დაწესებულებების ნაღვაწია, ცხლა კი სახალხო სასწავლებლების ინსპექტორებად ისეთებს ჰნიშნავენ, რომელთაც საერთო არა აქვთ რა სახალხო განათლებასთან,—სააქციზო და სატუსაღოთა დაწესესისტორიის მოხელეებულებაში ნამყოფი მოხელენი. კონნი,—და ასეთ პირთ მინისტრმა განსაკუთრებული უფლება მიანიჭა მასწავლებელთა არჩევა-განწესებისა.

შეკითხვა მიიღეს 154 ხმით 59 წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა 26 თებერვლისთვისა დანიშნული.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ნ. ბ. ღოღობერიძის ანდერძის განხორციელება.** როგორც მკითხველებმა იციან, განსვენებულმა მოღვაწემ ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძემ თვისი ქონება ანდერძად დაუტოვა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებასა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასა. დღემდე ანდერძის განხორციელება შეჩერებული იყო მხოლოდ იმის გამო, რომ განსვენებულის ნების აღმასრულებლებს ექვთიმე თაყაიშვილსა და ფილიპე გოგიჩაიშვილს ქონების რაოდენობა ცნობაში არ ჰქონდათ მოყვანილი. ახლა ნების აღმასრულებლებმა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას წარუდგინეს მთელი ანგარიში ამ ქონების შესახებ. განსვენებულს დაუტოვებია მომგებიან ბილეთებით სულ 55,225 მ., რომლის თანხიდანაც, ანდერძის თანახმად, ერგო: ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას—47,737 მან. 50 კ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას — 7,487 მან., ამას გარდა განსვენებულის ნების აღმასრულებელთა ხელში არის 8,923 მან. 24 კ. ნაღდი ფული. ამ ფულით ძეგლი უნდა დაიდგას განსვენებულის საფლავზე. რაც ძეგლს გადარჩება, ის თანასწორად უნდა გაიყოს ზემოხსენებულმა ორმა საზოგადოებამ.

✦ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის** გაყვანის თადარიგი უკვე დაწყებულია. გზა წნორის წყლიდან დაიწყება. ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა ამ გზის მთავარი ბუჰგალტერი, რომელიც გზის გასაყვანად საჭირო მოსამსახურეთა შტატს შეადგენს.

✦ **მინდვრის თაგვი.** როგორც გარე-კახეთიდან ტფილისში ჩამოსულნი გადმოგვცემენ, წელს გოლვისა და უთოვლობის გამო მთელს გარე-კახეთს მოსდებია მინდვრის თაგვი და სოფლელთა სარჩო-საბადებელი დიდს განსაცდელშია, თუ დაუყოვნებლივ არ იქმნა მიღებული განსაკუთრებული ღონისძიებანი.

✦ **ქალაქის მდივნის არჩევა** დანიშნულია ორშაბათს, 3 მარტისთვის. 1 მარტს, საღამოს, ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო თათბირი ექნებათ კანდიდატთა ასარჩევად.

✦ **აბასთუმანის გამშვენიერებისთვის** მზრუნველი საზოგადოება ტფ. გუბერნატორს სთხოვს, გამოსცეს სავალდებულო წესები ამ აგარაკში სამრეწველო სამეცხვარეობისა საქონლისა და შინაურ ფრინველების შენახვის წესები. ამას გარდა საზოგადოება გუბერნატორს სთხოვს, ნება დართოს, ჩარჩ-ვაჭრებთან საბრძოლველად, გამართოს საბაზრო მოედნები, სადაც შუადღის 12 საათამდე მომხმარებელთ შეეძლებათ პირველ ხელიდან ყიდვა სურსათ-სანოვაგისა.

✦ **ტფილის-თიანეთის გზატკეცილის** გაუქმება განზრახულია კახეთის რკინის გზაზე სამგზავრო მატარებლების წესიერ დაწყებისთანავე. ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს ამ გზატკეცილის გაუქმება საჭიროდ მიაჩნია იმ მოსაზრებით, რომ მგზავრები კახეთის რკინის გზის გაყვანის შემდეგ მუდამ არჩევენ მატარებლით მგზავრობას, ვიდრე ტფილის-თიანეთის უსწორმასწორო გზაზე მოგზაურობას. ოლქის უფროსი გუბერნატორსა სთხოვს, გამოსთქვას აზრი ამ საკითხის შესახებ.

✦ მეფის მოადგილის **სამრეწველო** განყოფილებამ გუბერნატორს აცნობა, რომ სტამბებთან არსებული **საკაზმავი სახელოსნოები** თავისუფალნი არიან სახელოსნო გადასახადისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ეს სტამბები საქარხნო-საფაბრიკო დაწესებულებას წარმოადგენენ და საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარიან.

✦ **საბადლონო სკოლის მზრუნველმა** თ-დმა ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ამ თანამდებობას თავი დაანება.

✦ **საელექტრონო სადგური.** მანთაშევის სავაჭრო სახლს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტს პიროსთან იმის შესახებ, რომ მიჰყიდოს მას მტკვრის პირად მდებარე ადგილი, მონასტრის საკუთრება, საელექტრონო სადგურის ასაგებად. არქიმანდრიტს პიროსს აზრად აქვს, გაყიდვაზე უარი უთხრას, ხოლო შესაძლებლად მიაჩნია იჯარით მიცემა. ეს სადგური მანთაშევს სჭირდება „აშურიანში“ განზრახულ სადუღაბო ქარხნის საჭიროებათათვის.

✦ საერობო აგრონომი **ი. ზ. ქურდიანი** ერევნიდან ქუთაის გადაიყვანეს.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** საპოლიტეხნიკუმო ადგილში აღმოჩნდა ერთგვარი თიხა, რომლიდანაც შესაძლებელია აგურის გამოწვა. სანიმუშოდ უკვე გამოსწვეს აგური და თვისების შესამოწმებლად გზათა უწყების სამმართველოს სამექანიკო ლაბორატორიაში გაგზავნეს, თუ აგური კარგის ღირსებისა აღმოჩნდა, მაშინ ამ აგურს მოახმარებენ პოლიტეხნიკუმის შენობას.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს მღვდლად** (მოწმეთა დასაფიცებლად) ეგზარხოსმა დანიშნა დიდმის მღვდელი ფხალაძე.

✦ **კადეტთა კორპუსში მოწამლული მოსწავლენი** უკვე განიკურნენ. რითი იყო მოწამლული ტკბილეული საქიმიო ლაბორატორიას ჯერ არ გამოუკვლევია.

✦ **კავკასიიდან გადასახლებულს** დავით ყარანაშვილს მეფის მოადგი-

ლემ ნება დართო, თვის სამშობლოში დაბრუნდეს.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** უფასო და იაფ ფასიან სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოებას, გამართოს 13 აპრილს საარტისტო საზოგადოების საზაფხულო სადგომში სეირნობა თვის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **სასინოდო კანტორის პროკურორი** პოპოვი ქობულეთიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **გზათა საოლქო მმართველობასთან** არსებულ სამექანიკო ლაბორატორიაში, რომელიც საუკეთესო სისტემის იარაღ-მანქანებით არის მოწყობილი, ამ ჟამად ხდება მრავალი გამოცდა სხვა და სხვა საამშენებლო მასალისა, ქვისა, ბეტონისა და სხვა.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის** კრება 24 თებერვალს მოხდა ბ-ნ კორვინ-პავლოვსკის თავმჯდომარეობით. კრებამ კომიტეტის 1913 წლის ანგარიშის განხილვა სხვა დროისთვის გადასდო, რადგანაც თავმჯდომარემ განაცხადა, საჭიროა ზოგიერთ დამატებით ცნობის შეკრებაო. კომიტეტი შეუდგა ალაიანისა და კონდოლის სანერგეების 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ამ სანერგეებში მომავალ მუშაობის გეგმის შედგენა საგანგებო კომისიას ჰქონდა მინდობილი, რომელმაც კომიტეტს მოხსენება წარუდგინა. კომისია, სხვათა შორის, საჭიროდ სთვლიდა ალიანის სანერგის გვერდით ათ დესეტინა მიწის იჯარით აღებას ამ სანერგის გასაფართოვებლად. თავმჯდომარემ განაცხადა, საჭიროა დამატებით ცნობების შეკრებაო და კრებაც დაიხურა. კრებამ სულ ნახევარ საათს გასტანა.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 25 თებერვალს მოხდა ტფ. საბაღოსნო სკოლის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოო განხილვა საბჭომ შემდეგ კრებისთვის გადასდო და დაავალა ვ. ი. რცხილაძეს, შეისწავლოს სკოლის საფ[...]ო მდგომარეობა და ხარჯთ-აღრიცხვის გამო თვისი დასკვნა წარმოუდგინოს საბჭოს.

◆ **სამელიორაციო კრების** მომწვევ ბიუროს კრება 24 თებერვალს მოხდა. ბიურომ საბოლოოდ შეიმუშავა მომავალ კრების დებულებათა პროგრამა. კრების მიზანია: აღძრას ინტერესი სამელიორაციო საქმისა, გამოარკვიოს სატეხნიკო, საორგანიზაციო და საფინანსო დაბრკოლებანი, რომელიც წინ ეღობება სამელიორაციო საქმეს კავკასიაში დ სხვა.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზო**გამგეობის კრება 25 თებერვალს მოხდა. გამგეობამ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება ნ. გ. ღოღობერიძის ანდერძის განხორციელების შესახებ. ამავე კომისიამ, რომელშიაც შედიან ალ. ყიფშიძე, შ. დედაბრიშვილი და ვარლამ ბურჯანაძე, წარუდგინა ანგარიში ანდერძით დატოვებულ ფულისა. გამგეობამ დაადგინა, ანდერძის თანახმად შეადგინოს სხვა და სხვა თანხა. ანდერძით სამი ხელუხლებელი თანხა უნდა დაარსდეს: 1) 20,000 მანეთიანი, რომლის სარგებლითაც სტიპენდიები უნდა დაარსდეს, 2) 15,000 მანეთიანი, რომლის სარგებლის ერთი ნახევრით ქართული წიგნები უნდა გამოიცეს, ხოლო მეორე ნახევარი პრემიებს უნდა მოხმარდეს და 3) 10.000 მანეთიანი, რომლის სარგებელიც უნდა მოხმარდეს სახალხო განათლების გავრცელებას ს. გოჩაჯიხაიში (ქუთ. მაზრა) და რგანში (შორაპნის მაზრა). რადგანაც ანდერძით დატოვებულ ფულს სარგებელი მიემატა და ახლა თანხა გადიდდა, ამიტომ გამგეობამ დაადგინა, ეს სარგებელი 10,000 მანეთიან ხელუხლებელ თანხას მიუმატოს. გამგეობამ ამავე კრებაზე დაავალა თვის წევრს ა. ყიფშიძესა და საზოგადოების რწმუნებულს ი. რაზმაძეს, იჯარით გასცეს „ფიქრის გორა“-ზე საზოგადოების ადგილი, რომელიც მუზეუმისთვის არის ნაყიდი.

## სომეხთა ცხოვრება

◆ **სომხის კათოლიკენი.** „ჰორიზონი“ ატყობინებს ართვინიდან, რომ იქაურმა სომხის კათოლიკეთა სამღვდელოებამ მოწერილობა მიიღო: ყველა საეკლესიო და სასკოლო საქმის წარმოება და ღვთისმსახურება სწარმოებდეს ლათინურადო. ამბობენ, რომ ამიერიდან აღარ იქნება სახელწოდება სომეხ-კათოლიკეთა, იქნება მხოლოდ „კათოლიკენი“.

## ქუთაისი

◆ პარასკევს, 28 თებერვალს, ქიათურის საბჭოს დარბაზში, სადამოს შვიდ ნახევარ საათზე რამდენიმე ქალი წაიკითხავს ქართული პრესის აზრს ქალთა საკითხზე.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**კიევი**

უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებმა ერთის დღით გაფიცვა გამოაცხადეს შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის გამო. ბევრჯელ სცადეს ქუჩებში დემონსტრაცია მოეხდინათ. პოლიციამ და ყაზახთა რაზმებმა დემონსტრანტები გაჰფანტეს. უთვალავი მოსწავლე ახალგაზრდობა დააპატიმრეს.

## დღიური

**მხატვრული ქმის ნატეხი.**

ბუნების მეტყველისათვის სრულიად საკმარისია აღმოაჩინოს რომელისამე ძვლის, გარდაშენებულის ცხოველის ერთი პატარა ძვალი, რომ ნათლად წარმოიდგინოს მთელი ცხოველის აგებულობა, მისი ზნე, ხასიათი, გარეგნული და შინაგანი თვისებები, მდებარეობა ადგილისა, სადაც სცხოვრობდა ცხოველი, და ის დროც, რომელსაც ეკუთვნის იგი. წინანდელის ისტორიულის, აწ გარდასულის კულტურული ცხოვრების ნაშთი ძლიერ ცოტა დარჩა და რაც დარჩა, ისიც ნამსხვრევ-ნამტვრევია; მთელი ნაშთი, მთელი მხატვრული ნაწარმოები, საომარი თუ სამუშაო იარაღი, რაიმე სამკაული თუ სხვა იშვიათადაა დაცული, უმეტეს შემთხვევაში, დარჩენილია მხოლოდ რომელისამე ნაწილის ნატეხი. მაგრამ ეს ნატეხი საკმარისია, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მთელი ნაშთი, მისი სიმშვენიერე თუ სიმახინჯე, მისი ღირსება თუ უვარგისობა. მაგალითად საბერძნეთის მხატვრების ქანდაკება მხოლოდ რამდენიმე მოგვეპოვება დაუზიანებელი და სრული, ხოლო საკმაო მშვენიერი ქანდაკის თავი, ტანის რომელიმე ნაწილი, ხელი ან ფეხი, რომ დავსტკბეთ ნაწარმოების სილამაზით და ვიგრძნოთ ძლიერება მხატვრის შემოქმედებითი ნიჭისა. ჩვენი გონება, წარმოდგენელობით, გამჭრიახობა, ოცნებას შეავსებს დანაკლისს, უხელოსა და უფეხოს სწრაფ შემოსავს ხელფეხით, მოკვეთილს ნაწილს მყის გაუმთელებს ნაწარმოებს, კვლავ აღადგენს დაკარგულს და წაშლილს.

ესთეტიურის, მხატვრულის შთაბეჭდილების მისაღებად მხატვრული ლამაზ ნაწარმოებზე მეტი მნიშვნელობა ჩვენს მხატვრულს შემეცნებას, ჩვენს ესტეტიურ შეგრძნებას აქვს. რომ დავსტკბეთ სიმშვენიერით, უნდა შეგვეძლოს ამ სიმშვენიერის დანახვა, გრძნობა, შემეცნება. ესთეტიური ემოცია არ იბადება თავისთავად. მის წარმოშობაში ჩვენც ისეთსავე აქტიურს მონაწილეობას ვიღებთ, როგორსაც მხატვარი, შემოქმედი. ამიტომ სრულიად საჭირო არაა, რომ ხელოვანმა თავის ნაწარმოებში ყველაფერი გვითხრას, ყველაფერი აგვიწეროს და გვიჩვენოს. თუ ჩვენი მხატვრული გემოვნება ცოტათი მაინც განვითარებულია, საკმაო ორი სამი ფერი, ხაზი, ნაკვეთი. საკმაოა მხატვარმა მხოლოდ მოგვაგონოს, დაგვანახოს [...] ნაწილი ნაწარმოებისა, რომ [...] ჩვენ თვით დავამთავროთ, თვით წარმოვიდგინოთ და ვიგრძნოთ...

ეს ყოველივე ეს ნათლად წარმოსდგა თვალწინ გუშინ სახალხო თეატრში რეჟისორის ა. წუწუნავას საბენეფისო წარმოდგენის დროს. ყოველს ექვს გარეშე, რომ ბ. წუწუნავას უკვე საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული ჩვენს სასცენო მოღვაწეთა შორის და მისი დადგმული პიესები, კარგი ხანია, საერთო ყურადღებას იზიდავს. მის წარმოდგენებს აშკარად ამჩნევია ნამდვილი მხატვრის ბეჭედი. ნათლად ხედავთ, რომ საქმე გაქვთ არა განუვითარებელ ხელოსანთან, რომელსაც ზიზილ-პიპილებით და ალაგ-ალაგას აჭრელებულის ფერებით უნდა მოგხიბლოთ, არამედ მხატვართან, რომელიც აღჭურვილია ჭეშმარიტის ხელოვანის გემოვნებით. ბ. წუწუნავა ძლიერ შეზღუდულია როგორც საკმაო საარტისტო ძალების უქონლობით, ისე სასცენო მოუწყობლობით და დეკორაციების სიღარიბით. მაგრამ თავის მხატვრულის ნიჭის წყალობით ახერხებს მშვენიერის წარმოდგენების გამართვას სახალხო თეატრის ღარიბ სცენაზე. იგი არა ჰქმნის სცენაზე სრულს სინამდვილეს—ამას ვერ შესძლებდა დედამიწის უდიდესი და უმდიდრესი თეატრიც, მაგრამ წინ დაგიხატავთ ერთს კედელს, სახლის ნაწილს, ისე შეახავებს ფერებს და სინათლე-სიბნელეს, ისე დააყენებს მოთამაშეებს, რომ თუ სავსებით არა, საკმაოდ აგრძნობინებთ იმას, რაც უნდა იგრძნოთ.

ა. წუწუნავას ნამუშევარში ყოველთვის დაცულია სტილი, რაიც ასე აკლია საზოგადოდ ქართულს წარმოდგენებს. ქართულს თეატრში თქვენ ხედავთ ყოველნაირის სტილის დროის და ერის მორთულობის ერთმანეთში არევას. ოღონდ კი „მდიდრულად“, აჭრელებულად, ფერადად მორთონ სცენა და იმას კი არავინ ფიქრობს, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ყველაფერი ეს მაყურებელზე და როგორ ახლუხებს და ჰრყვნის გემოვნებას. განა ათ წილად არ ემჯობინებოდა, რომ სცენაზე მაგალითად ოცი სკამის ნაცვლად ერთი ყოფილიყო, მაგრამ შესაფერი დროისა და ხალხის, და ოც-ოცი და ათი არეულ ტანისამოსში გამოწყობილ კაცის კაცის თუ მეომრის მაგიერ გამოსულიყო ოთხი თუ ხუთი შესაფერად მორთული?

სახალხო თეატრის რეჟისორმა თავის საბენეფისოდ, სხვათა შორის, დადგა ზღაპარი „პირიმზე“, სიმბოლიური გამოხატულობა ბოროტის და კეთილის ძალებისა, რომელიც ღრმად ჩაეჭრა მაყურებელთა გონებას. უკეთესად დადგმული ნაწარმოები ჯერ ქართულს სცენას არ უნახავს. ფარდა აიხდება თუ არა, დაინახავთ ერთს ნახარგზე მოწოლილ-ჩოჩქებულს მეომრებს, რომელნიც ბოროტ სულთა ბატონისა სიკვდილ-სიცოცხლის ძილით დაძინებია. მძინარე მეომარი სულ რვა-ათი კაცია, მაგრამ ისინაირად არიან თავმოწყვეტილნი, ისე არიან ძომკვეთარნი, ისე აშლილთ თმები და ისე უშიშნოთ ჰკიდიათ იარაღები, რომ მაყურებელი ცხადად გრძნობს: აქ საშინელი უბედურება დატრიალებულა და ბოროტს სულს შეუბოჭავს ყოველივე. სცენის გარედან მოისმის მწარე, მგლოვიარე მუსიკა. შემოდის ზღვის ასული, სიმწარით დასცქერის უბედურს მეომრებს და თეთრის ყვავილებით შეამკობს მათ სხეულს, ანუგეშებს მათ სულებს, რომ მოვა აღდგენის დღეო. ჯერ ნაღვლიანი მუსიკა არ შეწყვეტილა, რომ მოისმის შორიდან მგლების ღმუილი—ესენი არიან მაენები, ბოროტი სულები. შემოდიან შავ ყორნებივით სიკვდილის ჩონჩხები და თითქოს სამარის სიომ დაჰბერა ირგვლივა. თქვენ წინ სიკვდილის ჭეშმარიტი გმირები არიან. აგერ მათი ბატონიც მაღლობზე—რკინის სახეანი, რომელიც წყევლასა და კრულვას უგზავნის ადამის ძეთ და ემუქრება მთლად მოსპობას. აგერ დედამიწის ასული, რომელიც პირიმზის მოახლოვებას წინასწარმეტყველობს და რომელსაც გესლიანად დასჩხავიან ყორნები, ავი სულები. მაგრამ, შორს ცეცხლი გამოჩნდება, ისმის მხიარული ხმა და დავინახავთ მეომართა დასახსნელად წამოსულს პირ-მზეს და მის მეგობრებს. ბოროტი სულები თავზარ-დაცემულნი, სასოწარკვეთილნი, გაშეშებულნი გაიცრიცებიან იქითკენ. პირიმზე ბრწყინავს, მისი გმირული სახე სასტიკია და მრისხანე, უძლეველობაა ზედ აღბეჭდილი; ბრძოლა არ მომხდარა, მაგრამ იცით, ჰგრძნობთ, ვინც გაიმარჯვებს; სინათლის შუქი ჰფენია გმირების მხარეს. სურათი საუცხოვოა, მხატვრულია, ძლიერი; იგი ჩარჩოში ჩასმულ მშვენიერ ნახატს მოგვაგონებთ!..

დიდხანს ვუცქეროდი ჩემს წინ ჩამოშვებულ ფარდას და ვცდილობდი იმის იქით გამეჭვრიტა და დამენახა წარმტაცი სანახაობა. იშვიათად დავბრუნებულვარ თეატრიდან ასე კმაყოფილი და სულიერად წახალისებული, როგორც დავბრუნდი გუშინდელი წარმოდგენის შემდეგ და შეუძლებელია გულითადი სიხარული არ მიულოცოთ ადამიანს, რომელიც გზას უკაფავს ახალს ქართულს თეატრს.

**სიტყვა.**

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევანი

25 თებერვლის კრებაზე სადგილ-მამულო ბანკის პირველი რიგის რწმუნებულად შემდეგი პირები აირჩიეს: ნაზაროვი დიმიტრი, ნიჟარაძე იასონი, კოჩოშვილი ლევან, გოკიელი პეტრე, ზდანოვიჩი გიორგი, ფალავა მელქისედეკი, ფანცხავა იაკობი, ქელიძე ფილიპე, ესაკია მიხეილი, წერეთელი სოლომონ, კვირკველია დავითი, კრინიცკი ალექსანდრე, ბახტაძე სერგო, ქუთათელაძე ევგენი, ჩილინგაროვი იოსები, წერეთელი ვლადიმერი, ქუთათელაძე დავით, იაშვილი ჯიბრაილ, კეშელავა თადეოზ, ლილიძე გრიგოლ, ხმალაძე ლაზარე, წერეთელი ალექსანდრე, კანდელაკი გრიგოლ, გაბუნია ფარნაოზ, კოკოჩევი ვასილი, გაბუნია ბესარიონ, ეზიკოვი სვიმონ, ქემულარია იოსებ, ხუნდაძე სილოვან, ბოსიშვილი ბართლომე, გვილესიანი გრიგოლ, ჯაფარიძე სიმონ, ნიკოლაძე ნიკოლოზი და ბოკერია სამსონი.

კანდიდატებად: კაკაბაძე ილია, დოლაბერიძე მელიტონ, ხოჯავანიშვილი მელიტონ, შავგულიძე ელისე და ერისთავი ვალერიან.

## ახალ კლუბში

22 თებერვალს ახალ კლუბის წევრთა წლიური კრება დაიწყო. მთელი ოთხი კრება მხოლოდ 1913 წ. ანგარიშის განხილვას მოუნდა. ანგარიში ერთობ ბუნდოვნად არის შედგენილი და წევრნი ვერ მიმხვდარან, რომელი რიცხვი რას ნიშნავს და რაზეა დამყარებული. ბევრი ორატორი ცუდ-უბრალო ლაპარაკსა და კინკლაობას ანდომებს დროს.

მამასახლისთა საბჭოს მიერ შედგენილი ანგარიში მოკლედ უკვე გვქონდა მოყვანილი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ამ ანგარიშით 1913 წელს კლუბს ჰქონია შემოსავალი 168,194 მან. 82 კ. და წმინდა მოგებაა დარჩენია 9,897 მან. 29 კ. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვით საანგარიშო წელს კლუბს შემოსავალი უნდა ჰქონოდა 122,240 მან., ნამდვილად კი შემოვიდა 45,955 მანეთით ამაზე მეტი. ამავ ხარჯთ-აღრიცხვით 1913 წელს ხარჯი უნდა ყოფილიყო 146,240 მ. ნამდვილად კი დაიხარჯა 22,469 მანეთით ამაზე მეტი.

ანგარიშთან ერთად კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის აქტი კლუბის 1913 წლის ანგარიშის რევიზიისა. ამ აქტში სარევიზიო კომისია, რომლის წევრებად არიან თ-დი კ. პ. თუმანიშვილი, ვლ. ა. კორინთელი, თ-დი დ. ა. სოლოღაშვილი და დოკ. ბეს. ცინცაძე, მრავალ შენიშვნას აკეთებს ანგარიშის გამო. ამ შენიშვნებიდან მოგვყავს მხოლოდ უმთავრესი:

მოულოდნელმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ წიგნში ნაჩვენები ყველა თანხა ნაღდად არ არის და რომ ზოგიერთ პირს კასიდან ეძლევა ცოტ-ცოტა ფული იმ 300 მ. გარდა რომელიც გადადებულია ხაზინადრის განკარგულებაში. სარევიზიო კომისია აქცევს ყურადღებას კლუბის დავალიანებას, რომელიც 1913 წლის 1 იანვარს 13,149 მ. 92 კ. უდრიდა, ხოლო 1914 წლის 1 იანვრისთვის 23,961 მ. 13 კ. შესრულდა. სარევიზიო კომისიას საჭიროდ მიაჩნია კრების ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ კლუბის სადგომის საკითხი ამ ჟამად მეტად ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ახალ კლუბს არა აქვს საკმარისი ფართო შენობა და ისე მოწყობილი, როგორც სხვა კლუბებს, მაგრამ ქირას კი ყველაზე მეტს იხდის, მაგალითად, ტფ. საკრებულოს საზამთრო და საზაფხულო შენობა განათებით გათბობითა და წყლითა 1913 წ. დაუჯდა 26,500 მან., „კრუჟოკს“—23,000 მან., ხოლო ახალ კლუბს—60,000 მან. ამდენივე დაუჯდა კლუბს შენობა 1912 წელსაც. მეორე დიდი ხარჯი, რომელიც კლუბის ბიუჯეტსა ჰკლავს, იწვევს სამუსიკო ნაწილი, რომელ ზედაც დაიხარჯა: 1911 წელს—8,823 მან., 1912 წ.—28,069 მან. და 1913 წელს—41,178 მან. სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ ახალი კლუბი ნელნელა გადაიქცა მუსიკალურ ანტრეპრენიორად და ისე დიდს ფულსა ხარჯავს, რომლის გამართლებაც არ შეიძლება არც საჭიროებითა და არც კლუბის წევრთა გემოვნებით რადგანაც სიმფონიურ კონცერტების დროს ხალხი უფრო ნაკლები დაიარება, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. სარევიზიო კომისია აღნიშნავს აგრეთვე, რომ შენობის შეკეთებისა და გადაკეთების ხარ-

# ტარას გრ. შევჩენკო

(დაბადებიდან 100 წლის თავის გამო).

მიმდინარე თებერვლის 25-ს ასი წელი შესრულდა დიდი უკრაინის დიდებულ მგოსნის ტარას გრიგორის ძე შევჩენკოს დაბადებისა. მკითხველებს ალბად ეხსოვრებათ ის, თუ როგორი ზეიმით სურდათ უკრაინელებს სასიქადულო თანამემამულის ხსოვნის აღნიშვნა, მაგრამ მათ მისწრაფებას წინ გადაეღობა მთავრობა და აკრძალულ იქმნა არამც თუ დღესასწაული, არამედ განთქმულ პოეტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდების მოწყობაც კი. ამის შესახებ ერთი უკრაინელი პროფესორი მწარედ მეუბნებოდა: „ჩვენი, უკრაინელების, ისტორია ძლიერ ენათესავება ქართველების ისტორიას; თქვენი არ იყოს, ჩვენ ისტორიის ფურცლებიც უმეტეს ნაწილად სამგლოვიარო არშიით არის შემოხაზული. ავიღოთ ეკლესია. მართალია, უკრაინული ეკლესია ავტოკეფალური არ იყო, მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული სახე. ამ მხრივ ბრძოლის პროცესი უკვე დამთავრდა და პროცესი იგი ამ თავისებურობის სრულის მოსპობით დასრულდა. რაც შეეხება ჩვენი ხალხის სურვილს, დაიცვას თავისი ენა და შეინარჩუნოს უკუნოებით შექმნილი ეროვნული თავისებურობა, ამ მხრივაც უკრაინელი ხალხი არა ნაკლებ დევნას განიცდის, ვიდრე მისავით წამებული ქართველი ერი... ხომ მოგეხსენებათ, როგორ შეხვდეს შევჩენკოს საპატივცემულოდ განზრახულ დღესასწაულის გამართვას... თქვენ, ქართველებს შეძლება გქონდათ შესაფერისი პატივი გეცათ თქვენი ეროვნული სიამაყის—ხმცოვანი მოხუცი აკაკისათვის, ჩვენ კი დღეს აწ უკვე კარგა ხნის მიცვალებულ სათაყვანებელ თანამემამულის სულის მოხსენებაც აგვიკრძალესო“...

ტარას გრიგორის ძე შევჩენკო დაიბადა*) 1814 წელს 25 თებერვალს სოფელ მორინცაში (ზვენიგოროდის მაზრა, კიევის გუბერნია). მამა მისი ყმა იყო მემამულე ენგელ გარდტისა. პოეტის ბიოგრაფია ფრიად საყურადღებოა: მისი ცხოვრების გზა საბატონო ყმისაგან ცნობილ მხატვარ-მგოსნამდის, გზა ეკლიანი და მწუხარებით სავსე განსაკუთრებითი შარავანდედით ჰმოსავს ტარას შევჩენკოს შემოქმედებას. 9 წლის ბავში იყო შევჩენკო, როდესაც დედა მიეცვალა, და მასაც, როგორც სხვა არა ერთ წარჩინებულს, წილად ხვდა დედინაცვლის ხელში ცხოვრება. 12 წლისას მამაც გარდაეცვალა და ამგვარად სრულიად ობოლი დარჩა. ბავშს განსაკუთრებით იტაცებდა მშობელ სოფლის ტყე-მინდორ-ველი და წარმტაცი ბუნების წიაღში ეძიებდა იგი უდროოდ დაკარგულ დედის ალერსს. ერთ დროს, დაახლოვებით 1827 წ., შევჩენკო მწყემსად იყო. წერა-კითხვა მას სოფლის მედავითნემ ასწავლა. ტარასი ბავშობიდანვე არაჩვეულებრივ მისწრაფებას გრძნობდა ხატვისადმი. მებატონის კარზე მოსამსახურეობის დროს ბატონს იგი ხშირად დაჰყავდა კიევსა, პეტერბურგსა და ვილნოში. ამ დროს იგი ხარბად ეწაფებოდა თვის საყვარელ ხელობას, რისთვისაც ხშირად მრავალი უსიამოვნება მიუღია ბატონისაგან, მაგრამ ტრფიალი მხატვრობისადმი არასოდეს არ ჩამქრალა პატარა ყმის გულში. რაც უფრო ეკლიანია გზა ჩვენი მიზნისაკენ მიმავალი, მით უფრო ძვირფასია მიზანი იგი. და რაც მეტს სტუქსავდნენ შევჩენკოს, მით უფრო ძლიერდებოდა მის გულში მისწრაფება მხატვრობისადმი. ბოლოს ბატონმა ტარასი ერთ ვარშაველ პორტრეტისტს მიაბარა. ვარშავაში 16 წლის ყმაწვილმა შეიყვარა პოლონელი ქალი. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდია წმინდა სიყვარულის გავლენა ადამიანის ცხოვრებაში; აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სიყვარულის დროს განსაკუთრებით შეიგრძნო და შეიმეცნო შევჩენკომ, რომ ყმები ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც მებატონენი და მაშასადამე, ყოველივეს ისევე განიცდიან, როგორც ცხოვრების სუფრის თავში წამომსხდარნი. პოლონელმა საყვარელმა შევჩენკოს პოლონელმა საყვარელმა შევჩენკოს პოლონური ენის შესწავლა მოსთხოვა; იგი იმდენად იყო შეპყრობილი მამულიშვილური გრძნობით, რომ ალერსის დროსაც კი ერთი სიტყვა არ წამოსცდებოდა სხვა ენაზე. შევჩენკო იძულებული იყო პოლონური ენა შეესწავლა. ამ შემთხვევამ ერთგვარი სარგებლობაც მოუტანა მას: ტარასმა პოლონურ ენაზე შეისწავლა მიცკევიჩის ნაწერები და ლიბელტის ესთეტიკა. ხანგრძლივი არ იყო შეყვარებულთა განცხრომა. 1830 წელს პოლონეთში ამბოხების ნიშნები ჩანდა; ხალხი ფარულ მუშაობას ეწეოდა ამბოხების შესამზადებლად. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ასეთ მდგომარეობას და წინასწარ ზომებს ღებულობდა. შევჩენკო, როგორც სხვისი ყმა ვარშავიდან ეტაპით პეტერბურგს გადმოასახლეს. პეტერბურგში მებატონემ შევჩენკო დიდი ხვეწნის შემდეგ შირიაევის სამხატვრო სახელოსნოში მიაბარა. აქ ტარასმა გაიცნო თვისი თანამემამულე მხატვარი სოშენკო, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო მგოსნის ნივთიერ უზრუნველყოფაში. დაინახა-რა სოშენკომ შევჩენკოს უტყუარი ნიჭი, იგი ყოველივე ღონეს ხმარობდა, შეწყობა აღმოეჩინა თვისი თანამემამულისათვის. სოშენკოსთან შევჩენკომ სხვათა შორის გაიცნო რუსეთის პოეტი ჟუკოვსკი, რომელსაც შემდეგში უძღვნა თვისი მოთხრობა „კატერინა“. შევჩენკოს სულს უხუთავდა ყმის მონური მდგომარეობა; ზეგარდმო ნიჭით ცხებული, იგი თავისუფალ ასპარეზს ეძიებდა, სადაც შეძლება ექნებოდა თავისუფალი შემოქმედებისა... მისი მეგობრებიც პირველად ყოვლისა მის გათარხნებას ეცადნენ. ხანგრძლივი ცდის შემდეგ ლოტორეის საშუალებით აღებულ თანხით შევჩენკო განთავისუფლებულ იქმნა ყმობისაგან. ეს მოხდა 22 აპრილს 1838 წ. და სწორედ ამ დღის სახსოვრად უძღვნა ჟუკოვსკის მან ზევით აღნიშნული მოთხრობა.

ყმობისაგან განთავისუფლებულმა ტარას შევჩენკომ მხატვრობას თითქმის თავი დაანება, რადგან იგრძნო სულ სხვა მოწოდების გაღვიძება: მასში მძლავრად იფეთქა სურვილმა, პოეტურ ფორმებში ჩამოეყალიბებინა ის მხატვრული სახეები, რომელნიც სიყრმიდან იზიდავდნენ მის შემოქმედების თვალს. ასეთმა პროცესმა ერთგვარი მწარე სულიერი განცდა მიანიჭა დიდებულ მგოსანს, ვიდრე იგი გარკვეულად არ დაადგა ახლად არჩეულ გზას და ახალს მოწოდებას არ მიეცა მთელის არსებით. პირველ ხანებში შევჩენკო სოშენკოსთან სცხოვრობდა. მაგრამ მათ შორის მალე უთანხმოება ჩამოვარდა: ტარასმა სოშენკოს სატრფო, მათი დიასახლისის ძმისწული, ჩამოაშორა და გადაიბირა. ორი ღრმად მოყვარული თანამემამულე ერთმანეთს დაშორდნენ. მხოლოდ სიბერის დროს შერიგდნენ: სოშენკოს თვალთა ხედვა დაეკარგა და იძულებული იყო სახალხო მასწავლებლად წასულიყო თვეში 4 მანეთად. შევჩენკომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო სოშენკოს ასეთ უბედურებაში...

1840 წელს გამოიცა შევჩენკოს ლექსთა კრებული „კობზარი“, რომელმაც მალოროსიელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1842 წ. შევჩენკომ დაიწყო ბეჭდვა ისტორიულ პოემის: „გაიდამაკი“.

რუსეთის კრიტიკოსები და მათ შორის ბელინსკიც ცუდად შეხვდნენ შევჩენკოს პირველ ნაბიჯს. ბევრი მას დაცინვით გლეხების პოეტს ეძახდა. „პოეტი თუ კი ვარ, დეე ვიყო გლეხების პოეტიო“, იტყოდა ხოლმე ამის შესახებ ტარას შევჩენკო. 1843 წელს მან მიიღო ხარისხი თავისუფალი მხატვრისა. ამავე წელს შევჩენკომ მოგზაურობა დაიწყო უკრაინაში. ხალხი მგოსანს ყველგან აღტაცებით ეგებებოდა. სამშობლოში პოეტს სულს უწუხებდა დაბეჩავებული ყმების მდგომარეობა. ერთხელ შევჩენკო ერთ მებატონეს ეწვია; შესავალში უძილობით მოქანცულ მსახურს ჩასძინებოდა. მებატონე არ მოერიდა სტუმარს და მსახური ცემა-ტყეპით ზეზე წამოაგდო. შევჩენკო უხმოდ გამობრუნდა და იმ დღიდან ამ მებატონეს ახლოს არ გაკარებია. ერთი მებატონე ჰყავდა შევჩენკოს მეგობრად. ხშირად სწვევია მას თავის ძმასთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ საბატონო ყმა იყო. ერთხელ სუსხიან ზამთარში ამ მებატონემ ყმა გამოუგზავნა შევჩენკოს, რომელსაც 30 ვერსი უნდა გაევლო და იმ დღესვე უნდა გამობრუნებულიყო. ამან ალამფოთა შევჩენკო და ცხარე საყვედურით სავსე წერილი მისწერა მებატონეს. მებატონემ ძლიერ იწყინა ასეთი საქციელი და შევჩენკოს ასე უპასუხა: მე შენისთანა სულელები 300 მყავსო. დაახლოვებით 1843—4 წელს კიევში ქრისტიანული გრძნობით აღტყინებულმა მალოროსმა ახალგაზრდობამ განიზრახა ყმების განთავისუფლების იდეის პროპაგანდა. მათ დაარსეს საძმო კასა, სადაც ყველას შეძლებისა და გვარად შეჰქონდა თვისი წვლილი. თუ, მაგალითად, ვინმე ღარიბი გლეხის შვილი გიმნაზიას დაამთავრებდა, მას ამხანაგობა დახმარებას აძლევდა უნივერსიტეტის გათავებისას, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი სწავლის დამთავრების შემდეგ ექვსი წელი სოფლის მასწავლებლად იქნებოდა და ყმების განთავისუფლების იდეას ემსახურებოდა. შემდეგში აქედან წარმოსდგა ეგრედ-წოდებული კირილე მეთოდეს საზოგადოება, ანუ ძმობა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო მშვიდობიანის საშუალებებით უკრაინულ ხალხის შინაგანი განვითარება და სლავიანთა შორის ძმური კავშირის დამყარება. ამ მხრივ ძმობის იდეალი იყო ფედერაციულ ნიადაგზე შეერთებული რუსეთი. ძმობის წევრებს სწამდათ, რომ უკრაინელებს უშველის არა დიპლომატია, არამედ ახალი სასიცოცხლო ძალები, სამშობლოსადმი უძლიერეს სიყვარულით გამსჭვალული განათლებული ახალგაზრდობა და მონობისაგან განთავისუფლებული ხალხი. ამიტომ პირველი ყურადღება მიქცეული იყო ყმების განთავისუფლებისაკენ. საზოგადოების სათავეში უდგნენ. ტარას გრ. შევჩენკო, გულადი და ცნობილი უკრაინელი ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი.

**ალ. წერეთელი.**

(შემდეგი იქნება).

*) ვისარგებლე შემდეგი შრომებით: პროფესორ სუმცოვის წერილით ენციკლოპედიურ ლექსიკონში, მ. კ. ჩალის—„Жизнь и произведенія Т. Г. Шевченко“ და პროფესორ პეტროვის—„Очерки по исторіи Украинской литературы 19 ст.“.

ჯების დროს არ იყო დაცული ფორმალური მხარე, რომელმაც უნდა უზრუნველ ჰყოს გაწეულ ხარჯების სისწორე. სარევიზიო კომისიას ისიც საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ კლუბს მტკიცედ დაუცავს ის ჯამი, რომელიც ხარჯთაღრიცხვით, კლუბის უმთავრეს კულტურულ ნაწილის-ბიბლიოთეკისთვის იყო გადადებული და გადადებულ ფულზე მეტი არ დაუხარჯავს, როგორც სხვა ნაწილებზე.

ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა კრებამ 24 თებერვალს დაისრულა და ანგარიში დაამტკიცა იმ შენიშვნებითა და ცვლილებებით, რომელიც კრებამ სასურველად სცნო. კრებაზე, სხვათა შორის, გადასწყდა, კლუბის შენობის გადაკეთება-შეკეთებას ამას იქით თავი დაანებოს და იკმაროს ის შენობა, რომელიც ახლა არის.

კრების გაგრძელება გუშინდლისთვის იყო დანიშნული.

## საგულისხმო დავა

მინისტრთა საბჭოში განსახილველად შეიტანეს ფრიად საინტერესო საქმე, რომელიც ეხება გლეხთა განთავისუფლების დროს. საქმე აღძრა თ-დმა ახდრია ერისთავმა, რომელმაც 1909 წელს უქვეშევრდომილესი თხოვნით შუამდგომლობა აღძრა: დედა მისის კნ. ელისაბედ ერისთავის მემკვიდრეებს არ მიუღიათ კუთვნილი თანხა განთავისუფლებულ გლეხების გამოსასყიდი. ამ თანხის მიცემას თხოულობს თ-დი ერისთავი.

თავდაპირველად თ-დ ერისთავი თხოულობდა, აღედგინათ მისი უფლება, რათა გამოსდავებოდა 47,000 მანეთს.

ამ საქმის გამო კავკასიის მეფის მოადგილის თანაშემწეს სენატორ ვატაცის შეეკითხნენ. ვატაციმ უპასუხა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებელიაო. ფინანსთა მინისტრმაც ასეთი პასუხი მისცა. ერისთავმა ახლა უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა აღძრა. მეფემ სურვილი განაცხადა, რომ ეს საქმე მინისტრთა საბჭოს განეხილა. ამასთანავე მეფის კანცელარიის თხოვნების მიმღებმა მთავარმა გამგემ ის აზრი გამოსთქვა, რომ მემკვიდრეების შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდესო.

ფინანსთა მინისტრი წინააღმდეგი არ არის კანცელარიის მთავარი გამგის აზრისა, თუმცა მისი აზრით, მემკვიდრეებს თავის დროზე უნდა აერჩიათ ერთ-ერთი კანონიერი გზა თავისი უფლებების აღსადგენად. რადგანაც მათ კანონიერი ვადას გადააცდინეს მათი შუამდგომლობა უარყოფილი უნდა იყოსო.

მინისტრთა საბჭო ამ საქმეს ამ ცოტა ხანში განიხილავს.

## სასამართლო კავკასიაში

მარტის პირველ რიცხვებში, იუსტიციის მინისტრის ამხანაგის ვერიოვკინის თავმჯდომარეობით მოხდება განსაკუთრებული თათბირი კავკასიის ადგილობრივ მკვდრთათვის სასამართლოს განყოფილებათა მოწყობის თაობაზე.

თათბირმა უნდა გამოარკვიოს, შესაძლოა თუ არა ამ ჟამად კავკასიაში სამომრიგებლო იუსტიციის შემოღება, თუ კულტურულის მხრით კავკასიის მცხოვრებთა მოუმზადებლობის გამო, უფრო საჭიროა სპეციალურად კავკასიისათვის დროებით სასამართლოს განსაკუთრებული ტიპის შემოღება.

იუსტიციის სამინისტროს აზრით, საჭირო იქნება მეორე. სასამართლოს ისეთი ტიპი უნდა შემუშავდეს, რომელიც დაახლოვებული იქნება მცხოვრებლებთან და რუსულ სოფლებში არსებულს სასამართლოებს ემსგავსება. ამ აზრს კავკასიის მეფის მოადგილეც ემხრობა. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის მთავრობის წარმომადგენლებიც.

## ტ. შევჩენკოს იუბილეის გამო

### დეპეშა

**კიევი.** დღეს, შევჩენკოს ასი წლის დაბადების დღეს ქუჩებში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. აურაცხელი პოლიციაა. უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობაა. რევოლუციონური სიმღერები პოლიციამ ჩააჩუმა. რამდენიმე ათი სტუდენტი დაატუსაღეს. გუბერნატორმა განკარგულება გასცა, ლმობიერად მოექცნენ. უმაღლესს სასწავლებლებში პოლიცია სდგას. კომერციულ ინსტიტუტში შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და აკადემისტებს შორის. შეტაკება პოლიციამ ჩქარა შეაჩერა. რამდენიმე ლექცია არ შესდგა, სხვებზედ ძალიან ცოტა მსმენელი დაესწრო.

**კიევი.** უკრაინელების კლუბის „როდინა“-ს მამასახლისებმა სოფიას ტაძრის კრებულს სთხოვეს ტ. შევჩენკოს სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაეხადნათ. ტაძრის წინამძღვარმა უარი განაცხადა.

უკრაინელთა საზოგადოების სახელით სათათბიროს კადეტების ფრაქციაში დეპეშა გაიგზავნა. აცნობებენ, რომ ადგილობრივი სამღვდელოება უარს ამბობს შევჩენკოს სულის მოსახსენებლად პანაშვიდების გადახდაზე. სამხრეთ დასავლეთის მხარის ყველა ქალაქის საბჭოს შევჩენკოს პატივსაცემელ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა გუბერნატორებმა შეაჩერეს და განსახილველად ამ მხარის უფროსს გაუგზავნეს.

მასვე წარედგინა ყველა ორგანიზაციისა და კერძო პირთა შუამდგომლობანი შევჩენკოს პატივსაცემლად სალიტერატურო საღამოების გამართვის შესახებ.

**ვარშავა.** მიძინების ტაძარში უკრაინელებს უარი უთხრეს შევჩენკოს სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდაზე. უკრაინელებმა ლიტოვის გვარდიის პოლკის კრებულს მიმართეს, რომელთაც პანაშვიდის გადახდა იკისრეს.

23 თებერვალს, უკრაინის „გრომადას“ ჰსურდა შევჩენკოს საღამო მოეწყო.

გუბერნატორის კანცელარიის დირექტორმა ხარლამოვმა განაცხადა, ნებართვა იმაზეა დამოკიდებული თუ რა შინაარსისა იქნება საღამოო.

**ხარკოვი.** 21 თებერვალს ქალაქის საბჭომ განიხილა კომისიის მოხსენება შევჩენკოს პატივსაცემ იუბილეის შესახებ; საბჭომ იუბილეის შემდეგი გეგმა დაამტკიცა: 1) 100 წლის შესრულების დღეს გადაიხადოს პანაშვიდი. 2) ხარკოვის ერთ-ერთ თეატრში გამართოს წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გადაიდება შევჩენკოს ძეგლის ფონდისათვის 3) ერთ-ერთ ქალაქის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში 10 სტიპენდია დაარსდეს.

**ეკატერინოდარი.** კავკასიის მეფის მოადგილემ დეპეშით ნება დართო იდღესასწაულონ შევჩენკოს იუბილე.

**ნოვოჩერკასკი.** გუბერნატორმა განასაჩივრა საბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც ქალაქის ერთი ქუჩისათვის შევჩენკოს სახელი უნდა დაერქმიათ და ქალაქის სკოლებში მისი სურათი უნდა ჩამოეკიდნათ.

**დონის როსტოვი.** შევჩენკოს საღამოს მომწყობთ ქალაქის უფროსმა მოსთხოვა წინდაწინ გადასათვალიერებლად წარადგინონ საღამოს გეგმა და განზრახულ სიტყვების შინაარსი.

**ეკატერინოსლავი.** პოლიცმეისტერმა შევჩენკოს საიუბილეო კომიტეტს აუკრძალა საიუბილეო აფიშაზე შევჩენკოს სურათის მოთავსება.

**ხერსონი.** ადმინისტრაციის განკარგულებით დაიწყო გამოძიება იმ რეფერენტის პიროვნების შესახებ, რომელმაც სახალხო თეატრში მოხსენება წაიკითხა შევჩენკოს შესახებ. მოხსენება ცენზორის მიერ წინ და წინ გადათვალიერებული იყო.

**სარატოვი.** შევჩენკოს საიუბილეო დღესასწაული სხვა უკეთეს დროისათვის გადაიდო.

**ტაგანროგი.** შევჩენკოს საღამო 4 მარტისათვის გადაიდო. საღამოს მეთაურებს იმედი აქვთ, რომ ამ დროისთვის პირობები შეიცვლება.

## ამბოხება ეპირში

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**ათინა.** დეპუტატთა პალატაში ეპირის საკითხის გამო ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესი დაუპირდაპირდა საბერძნეთის ინტერესს. ამ გარემოებამ აიძულა საბერძნეთი დამორჩილებოდა სახელმწიფოების დადგენილებას და ეპირელებს ურჩია ურჩობას თავი დაანებეთო. საბერძნეთს საფუძველი ჰქონდა ეფიქრნა, რომ ეგეის ზღვაზე მას უპირატესობა შერჩებოდა. თეოთიკსმა შენიშნა, რომ მთავრობას თავისთვის უნდა უზრუნველ ეყო ზოგიერთ სახელმწიფოების დახმარება. ვენიზელოსმა უპასუხა: საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ რუსეთი მუდამ მხურვალედ უჭერდა მხარს საბერძნეთის ინტერესებს, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი ომის დროს. ალბანეთის საკითხის შესახებ, ვენიზელოსმა განაცხადა, ალბანეთი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ საბერძნეთსა დ სერბიის მხრივ გულწრფელ მეგობრობას შეხვდებაო.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ ჩრდილო ეპირის რევოლიუციონურ მთავრობის უფროსს ზოგრაფოსს შეეკითხა მომავალ განზრახვების შესახებ. ზოგრაფოსმა უპასუხა, ევროპამ კარგად იცის ზედი 50,000 ქრისტიანისა, რომელიც ალბანელებისა და მუსულმანთა თავგზა აბნეულ რეჟიმის ქვეშ სცხოვრებენ. ეპირელები დასთანხმდნენ ყველა მოთხოვნილებაზე იმ იმედით რომ მათ ახლ ბატონებს ჩაუგდებენ ხელში, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ეპირელები ვერ შეჰრიგებიან ასეთ შეუბრალებელ ღევნას დ მთელი ერის გაწირვას, ამიტომ გადასწყვიტეს თავისი მიწა-წყლის დაცვა. მშვიდობიანი საშუალებანი უნაყოფო გამოდგა ეხლა კი უკვე ალიარებულ ავტონომიის შერჩენას ეცდებიანო.

ვალონიდან იტყობინებიან, საბერძნეთის მთავრობის განკარგულებით შეიპყრეს ეპისკოპოსი კორიცისა, ჩრდილო ეპირში მოძრაობის ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**პეტერბურგიდან** იტყობინებიან, ალბანეთის საერთაშორისო კომისია დღეს შეეცადა მოლაპარაკება დაეწყო ეპირის ავტონომიის წარმომადგენლებთან, რათა შეიმუშავონ ისეთი სტატიები, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს დააკმაყოფილებს, ე. ი. ეპირის ბერძენ მცხოვრებთ და ალბანელებს მოარიგებს.

**ათინა.** ფრასარი ალბანიის მთავრობას გადაეცა. ბერძენ აფიცრებსა და ალბანეთის ჟანდარმერიის შორის დაიწყო მოლაპარაკება კოლონიის ოლქში სოფლების გადაცემის თაობაზე.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 თებერვალი.

### უცხოეთი.

**ლონდონი.** სუფრაჟისტ[illegible] ქ[illegible] პანკჰერსტი დაატუსალე[illegible] სიტ[illegible] წარმოთქმის დროს. როდესაც [illegible] ლიცია დარბაზში, შევიდა ქალები პანკჰერსტს გამოესარჩლნენ, პოლიციას დაუშინეს ჯოხები და ყვავილების ქოთნებს ესროდნენ. რამდენიმე კაცი დაშავდა.

ნაციონალურ „გალერეიაში“ სუფრაჟისტმა ქალმა რიჩარდსონმა დაამახინჯა ველასკეცის ძვირფასი სურათი „ვენერა“. რიჩარდსონი დაატუსაღეს. იმან განაცხადა; მითოლოგიის ულამაზესი ქალის სურათი მოვსპე ნიშნად მთავრობის წინააღმდეგ პროტესტისა, რომელმაც მოსპო პანკჰერსტი, თანამედროვე ხასიათებით ულამაზესი ქალიო.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგი“ უარჰყოფს გაზეთების ცნობებს, ვითომ გერმანიას ალბანეთში ოფიცერ-ინსტრუქტორები გაეგზავნოს.

**ბუდაპეშტი.** „პესტერ-ლოიდი“ იძლევა თითქმის ოფიციოზურ ცნობას ვენიდან რუსეთის შეიარაღების შესახებ, და ამბობს, რომ საშიში არ არის, ვითომ რამე სერიოზული შედეგი იყოს მოსალოდნელიო.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში დუმერგმა განაცხადა: მთავრობა ყოველთვის თანხმობით მოქმედებდა რუსეთსა დ ინგლისთან ერთადაო. დუმერგი ამბობს, საფრანგეთი ყოველ ღონესა ხმარობდა წაეშალა ბალკანეთის უთანხმოების კვალი და მეგობარი ერები შეერიგებინა. დუმერგი შემდეგ შეჩერდა ალბანეთის მომავალზე და სთქვა, პრინცი ვიდის მიერ ექვსი სატახტო ქალაქის მოვლა ამტკიცებს ალბანეთის დამოუკიდებლობის მისწრაფებას, ხაზს უსვამს რუმინიის გავლენის მშვიდობიანობის საქმეში, ამბობს, რომ საფრანგეთმა ოსმალეთს განუცხადა: საფრანგეთის ფინანსიურ დახმარებას ნუ ელი, თუ ეს ფინანსები მშვიდობის დასარღვევად გინდაო. შემდეგ დუმერგმა განაცხადა, საფრანგეთი, ამერიკის შტატებსა და იაპონიასთან შეთანხმებით მოქმედებს ჩინეთის მშვიდობიანობის დაცვის სასარგებლოდაო.

**რომი.** კაბინეტმა გადადგომა ითხოვა.

მიტინგის შემდეგ, სადაც მუშაობის განახლება გადასწყვიტეს, მანიფესტანტების ერთი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ გაემართა. პოლიცია სცდილობდა დაეშალა ხალხი. შეტაკება მოხდა. ორთავე მხრიდან სროლა იყო. მანიფესტანტები ესროდნენ ქვებს. ორთავე მხარეს ბევრია დაშავებული. მანიფესტანტები გაცანტეს.

25 თებერვალს მოხდა მიტინგი იმის გადასაწყვეტად, განაგრძონ გაფიცვა თუ არა. ოცდახუთისთვის დანიშნულია მინისტრთა საბჭოს კრება. ჰფიქრობენ, კაბინეტი გადადგებაო.

**მექსიკა.** ჰუერტამ უბრძანა ფედერალურ ჯარის წინამძღვრებს, აჯანყებულთა წინააღმდეგ გაილაშქრონ.

**ნიუ-იორკი.** საკრამენტოდგან (კალიფორნიაში) ატყობინებენ, უმუშევართა საკითხი გამწვავდა. ნაჯახებითა და კეტებით შეიარაღებული 300 დარაჯი 600 მუშას დაერია. აურაცხელი თავდამტვრეული ხალხი ეყარა ქუჩებში. ბოლოს უმუშევართ ცეცხლის მქრობელ მანქანებით წყალი მიუშვეს და გაჰფანტეს. მთავრობამ უმუშევართა განდევნა მოითხოვა. რამდენიმე ასი მათგანი დასთანხმდა. ოპოზიციონურმა ნაწილმა გადასწყვიტა დარაჯებთან ბრძოლა განაგრძოს.

**ცეტინიე.** მთავრობამ ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა სენაკოსის ახლოს მომხდარი ინციდენტი გაარჩიოს და ავსტრიის ჯარი გაიყვანონ.

**რიო-დე-ჟანეირო.** სეარის შტატში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ტრამვაი აღარ მუშაობს. შეიარაღებული რაზმები დიდიან უმთავრეს ქალაქის ქუჩებში და სახლებში უცვივდებიან. კავშირი ჯარის რაზმებს მოუწყდებს საშველიდ. აჯანყებულები უმთავრესი ქალაქის ახლო არიან.

**სოფია.** არჩევნებში მთავრობის პარტიამ მიიღო 128 ადგილი წინააღმდეგ 17 ოპოზიციისა. არჩევნებში სოციალისტთა რიცხვი შემცირდა.

**ბელგრადი.** ნაციონალისტთა წინააღმდეგ ვალკოვიჩი სერბიის საგარეო პოლიტიკას შეეხო: ბულგარეთი გულწრფელი არ არის. სანამ ბულგარეთს მართველ ობენ მაკედონელთა მომხრენი, ჩვენსა და იმათს შორის შეთანხმება შეუძლებელიაო. სერბია [illegible] ნდა ემყარებოდეს მხოლოდ რუმი[illegible] და საბერძნეთთან შეთანხმებას, [illegible] საჭიროა ყოველთვის [illegible] გვყავდეს ჩვენი სამხედრო ძალაო. ასეთი უნდა იყოს სერბიის პასუხი ბულგარეთისადმი. მისი სიტყვა მოიწონეს.

### რუსეთი.

**ვარშავა.** ჩამოინგრა ექვს სართულიანი სახლი. ქვეშ მოჰყვა რამდენიმე მუშა. ამოთხარეს ოთხი ცოცხალი, ნანგრევესის ქვეშ კიდევ სამია.

**ვილნა.** ცამწვარ ერთ სართულიან სახლში შვიდი დაიღუპა.

**სმოლენსკი.** დაიწვა სახალხო თეატრი. ცეცხლში მოჰყვა დარაჯის მამა. ეჭვობენ, ცეცხლი განგებ წაუკიდესო.

## თეატრი და ხელოვნება

### ზუბალაშვილის სახალხო სახლი

**ა. წუწუნავას ბენეფისი.** სამშაბათს, 25 თებერვალს სახალხო სახლში გადაიხადეს ბენეფისი ნიჭიერ რეჟისორისა და სახალხო სახლის დაუღალავ მუშაკის ა. წუწუნავასი. მობენეფისემ ისეთი პიესები აირჩია თვის საბენეფისოდ, სადაც მისი სარეჟისორო ნიჭის ფართო გაშლა შეიძლებოდა. მართლაც „პირიმზე“—კეთილ და მავნე სულთა ბრძოლა, ხალხური ზღაპარი გალექსილი შოთა დადიანის მიერ. ჩინებულად იყო დადგმული; ყოველ წვრილმანში, ყოველსავე სამხატვრო ხაზმოსმაში მკვეთრად გამოსჭიოდა იდეა ზღაპარისა და მაყურებლის გრძნობას ჰხიბლავდა. პირდაპირ გასაკვირველია, როგორ ახერხებს წუწუნავა, ისეთს პატარა და მოუწყობელ სცენაზე, ასე მხატვრულად დადგმას.

არა ნაკლების ხელოვნებით დაიდგა ქანტურაშვილის დრამის („მორევში“) მესამე მოქმედება. მე რომ მინახავს სახალხო სახლში, „მსხვერპლი“-ს პირველი მოქმედება და ზემო-აღნიშნულ მოქმედება, გულწრფელად უნდა ვსთქვა, იმ ძალთა მიხედვით და სცენის მოწყობის მხედველობაში მიღებით, უკეთესის სურვილი შეუძლებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რეალიზმის ყოველი წვრილმანი მოთხოვნილება დაცული იყო მაყურებელთა თვალწინ გადაიშალა დ გურული გლეხის კარმიდამო, თავისი ოდით, დარღვეული ღობით და ქი შორს, შორს სადამოს მიწურულში მოისმის მინდვრიდან დაბრუნებულ მუშა ხალხის გუგუნი; ქათმის კაკანი კარგი იქნებოდა ზომიერების საზღვარი რომ არ გადაელახათ.

ასეთივე გემოვნებით დაიდგა „რევიზორ“-ის უკანასკნელი მოქმედება; სასურველი იქნებოდა კომედიაში შარჟის ელემენტი არ შეეტანათ. ხალხი აურაცხელი დაესწრო, ნიჭიერი რეჟისორი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს და მიართვეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი.

მუშლი.

—

დღეს, 27 თებერვალს, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში ცნობილი ჟურნალისტი **ს. გ. იაბლონოვსკი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„დაუბადებელთა უფლება“** (მუცლის მოწყვეტის შესახებ). ლექტორი შეეხება საკითხს მედიკურის, იურიდიულის, პოპულიაციონურის, ბიოლოგიურის, ეკონომიურის, სოციალურისა და მორალურის თვალთახედვის ისრით.

—

**ხარფუხის აუდიტორია** (კლუბის შენობაში). დღეს ხარფუხის ქართ. სახალხო წარმ. მმართველი წრე წარმოადგენს ი. გედევანიშვილის „მსხვერპლს“.

—

**ქ. გორი.** საბშაბათს, 25 თებერვალს, გორში გამართა კონცერტი მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: ვანო სარაჯიშვილი, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა ქართული რომანსები, ბ. კოპელნიცკი, (ვიოლონჩელი), მომღერალი ქალი კაზანცევისა და ბ. ვასო ურუშაძე, რომელმაც წაიკითხა გურული სცენები. დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა კონცერტით.

დამსწრე.

## შემოწირულება

ბ. რედაქტორო! გიგზავნით შემოწირულებას **ირ. ევდოშვილის** სასარგებლოდ, რომელიც მოვაგროვე შამლუხში დროებით მცხოვრებ ქართველებს შორის, რომლებმაც სიამოვნებით შემაწიოდეს თავიანთი წვლილი ჩვენი სახელოვანი მგოსნის დასახმარებლად. გთხოვთ ერთ-ერთი თქვენი გაზეთის ნომერში გამოაცხადოთ შემომწირველთა გვარები: სამ-სამი მანეთი ვ. წერეთელმა, ევ. კვირკველიძემ, ნ. ცუცქირიძემ; ორი მან. ალ. კირვალიძემ; თითო-მანეთი ივ. წერეთელმა, ა. ლაზარევმა, ვ. ტყეშელაშვილმა, დ. ლუხატაშვილმა, ნ. ლომინაძემ, ივ. გალავანაშვილმა; ათ-ათი შაური მ. კირვალიძემ, ა. ტაბატაძემ, მ. ჩხეიძემ, ი. ბლიაძემ, გიორგი ნიკოლაიშვილმა; ორ-ორი აბაზი ი. შველიძემ, ი. ლუხუტაშვილმა.

ნადეჟდა სიმ. ცუცქირიძისა.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. **ფომინა-თხიშილისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. **ნათაძეილი** (მთნუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ა. **მირაქოვი** (მიხეილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიკის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და შალაკის მოედანზე.

თევზის მრეწველნი

ძმ. ____

ძმებელოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 18 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 108, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, ნაშუადღ. 12 ს. [illegible] წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7 **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 3 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106 **ნარევი** დამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთის სადამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის საავადმყოფოები

**ნოვოშინი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხსა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## ექიმ ნამაზარდიანის

პირველი კერძო

საავადმყოფო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. უფასო კონსულტაციურად.

ბ. ა. ნამაზარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.

ბ. გ. [illegible]: 1—2 [illegible] შინაგანი ავადმყ.

ზ. ო. [illegible]: 10—11 ს. საბავშვო ქალებისა და ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—1 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ძ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვი: 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნამაზარდიანი.
1071

**ექიმი** ზ. ა. მიძელა[illegible] 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან [illegible] საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გო[illegible] ვინის პროსპექტის ახლოს, ვოლ[illegible] ზნის შესახვევი № 8. მიიღება [illegible] ბიარეთა ყოველთვის დღე [illegible] საამბულატორიო მიიღება ავადმ[illegible] ბისა, მასსაჟი და ყვავილის [illegible] ღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე.

## განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუშტაიდის ქუჩა.